გელათის რეაბილიტაციის კომიტეტის საქმიანობის 6 თვის ანგარიში.

უკანასკნელ წლებში, გელათის სამონასტრო კომპლექსის ფიზიკური მდგომარეობის კუთხით შექმნილი კრიზისის გაანალიზების შედეგად, საჭირო გახდა გადაუდებელი ნაბიჯების გადადგმა, რაც ძეგლთან მიმართებაში სამოქმედო გეგმის ცვლილებას გულისხმობს და მთლიანად ეფუძნება მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის გადაწყვეტილებების მითითებებსა და UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრისა და მისი მრჩეველი ორგანოების ICOMOS-ისა და ICCROM-ის 2022 წლის 28 ნოემბერ - 2 დეკემბერს განხორციელებული ერთობლივი მისიის ანგარიშის რეკომენდაციებს.

როგორც უკვე ცნობილია, ზემოაღნიშნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში, 2023 წლის 6 აპრილს, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელ ეკლესიას შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, ძეგლზე ჩატარებული სამუშაოების არასასურველი შედეგების გათვალისწინებით, გელათის რეაბილიტაციის პროცესის მართვა საქართველოს საპატრიარქომ გადაიბარა და სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაციის პერიოდში, მთავარ ამოცანად მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტისა და მისი მრჩეველი ორგანოების რეკომენდაციების ზედმიწევნითი აღსრულება დაისახა.

ვაცნობიერებთ რა პასუხისმგებლობას ქართული საზოგადოების წინაშე, ექვსი თვის პერიოდის ანგარიშის სახით, გვსურს წარმოგიდგინოთ ინფორმაცია აღნიშნულ პერიოდში განხორციელებული საქმიანობისა და აქტივობების შესახებ, რომელიც მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის მისი მრჩეველი ორგანოების, - ICOMOS-ისა და ICCROM-ის ზემოხსენებული რეკომენდაციების მიხედვით შესრულდა, კერძოდ:

1. მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის მკაფიო რეკომენდაციის თანახმად, შეიქმნა გელათის მართვის გეგმის განახლებაზე მომუშავე კვალიფიციური ჯგუფი და დაიწყო გელათის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლისა და მისი ერთიანი ვიზუალური დაცვის ზონის (ბუფერული ზონის) საზღვრებში 2013-2015 წწ-ში შემუშავებული მართვის გეგმის განახლების სამუშაოები, რაც დოკუმენტში მოცემული სხვადასხვა თემატური ინფორმაციის განახლებასთან ერთად, ტერიტორიის კოორდინირებული მართვისა და სივრცითი დაგეგმარების უმნიშვნელოვანეს საკითხებს მოიცავს.

2. მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის გადაწყვეტილებებისა და WHC/ICOMOS/ICCROM-ის გელათში განხორციელებული ერთობლივი მისიის ანგარიშის მე-4 რეკომენდაციის შესაბამისად, გელათის ერთიან-დროებით გადახურვაში მოქცევისათვის, გელათის რეაბილიტაციის კომიტეტმა უმაღლესი რანგის გერმანულ კომპანია „ლეიერთან“ კომპლექსური თანამშრომლობით მოამზადა ორი საკმაოდ რთული საინჟინრო გადაწყვეტის მაღალტექნოლოგიური პროექტი: 1) გელათის კათედრალის ერთიანი-დროებითი გადახურვის პროექტი, გუმბათის ჩათვლით, სრულად, და 2) გელათის კათედრალის ერთიანი-დროებითი გადახურვის პროექტი, გუმბათის გადახურვის გარეშე, ამგვარი გადაწყვეტის მიზნობრიობის დასაბუთებით. მომავალ კვირას, ორივე პროექტი სრული სახით, გადაიგზავნება მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრში და დაველოდებით მათ გადაწყვეტილებას.

3. მე-6 რეკომენდაციის თანახმად, აღმოსავლეთ მკლავში მოეწყო ე.წ. „უსაფრთხო ხარაჩო“, რამაც სპეციალისტებს საშუალება მისცა შეესწავლათ კედლის მხატვრობა და საკურთხევლის აფსიდის მოზაიკა.

4. რთული რეალობების მიუხედავად, ივლისის თვეში დადებითად დასრულდა გელათის კომიტეტის მიერ გამართული ,მოლაპარაკებები კედლის მხატვრობისა და მოზაიკის კონსერვაციის საერთაშორისო დონის, უმაღლესი კვალიფიკაციის ექსპერტებთან: ა) კედლის მხატვრობაში, ბატონ სტივენ რიკერბისა და ქალბატონ ლიზა შეკედესთან; ბ) მოზაიკაში, მოზაიკის კონსერვაციის საერთაშორისო კომიტეტის პრეზიდენტ, ბატონ რობერტო ნარდისთან. აღნიშნულმა ექსპერტებმა სექტემბრის თვეში წარმოადგინეს ზოგადსაკონსერვაციო გეგმები, რომლებიც განხილულ იქნა საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოსა და ეროვნული სამეცნიერო საბჭოს წევრების მიერ. დღეს, მხატვრობის კონსერვაციის ჯგუფი აქტიურად ემზადება კვლევითი და სატესტო სამუშაოების შესასრულებლად; ამისათვის დაწყებულია შესაბამისი საკონსერვაციო მასალებისა და აღჭურვილობის შესყიდვისთვის ზრუნვა.

5. მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის გადაწყვეტილებებისა და WHC/ICOMOS/ICCROM-ის გელათში განხორციელებული ერთობლივი მისიის ანგარიშის მე-11 რეკომენდაციის თანახმად, 2023 წლის აპრილში დაიწყო და ამჟამად დასრულებულია გელათის სამონასტრო კომპლექსის მთავარი ტაძრის ცენტრალური ნაწილის, დასავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი მკლავების კამარებისა და ზედა რეგისტრების, კედლის მხატვრობის მდგომარეობის და ორიგინალი ტექნოლოგიის ზუსტი გრაფიკული სქემების შექმნა, თანმხლები დეტალური დოკუმენტაციით. აღნიშნულ ლოკაციებს პრიორიტეტი მიენიჭა დაზიანებათა მაღალი ხარისხის გათვალისწინებით.

6. მე-7 რეკომენდაციის შესაბამისად, ღვთისმშობლის ტაძრის კედლის მხატვრობის მდგომარეობის ყოვლისმომცველ მონიტორინგთან ერთად, ქართველი სპეციალისტების მიერ, მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს წმინდა გიორგის ეკლესიაში არსებული ფრესკების მდგომარეობის ფოტო-ფიქსაცია, რაც უზრუნველყოფს პირველადი მონაცემებისა და ინფორმაციის მიღებას შემდგომი დოკუმენტირებისთვის.

7. მე-13 და მე-14 რეკომენდაციების შესასრულებლად, „Studio Croci & Associati“-სა და „VI Studio”-ს ერთობლივი ძალისხმევით, მომზადდა გელათის სამონასტრო კომპლექსის კონსტრუქციული კვლევისა და მონიტორინგის გეგმა, რომელიც განხილულ იქნა გელათის რეაბილიტაციის კომიტეტის მიერ მოწვეული ეროვნული და საერთაშორისო საბჭოების მიერ და მათი დადებითი შეფასების შესაბამისად, მთავარ ტაძარში უკვე დამონტაჟდა კონსტრუქციული მონიტორინგის სისტემები.

8. გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტის საერთაშორისო დონის და უმაღლესი სამეცნიერო რანგის ექსპერტების მიერ, უახლესი გეოფიზიკური აპარატების გამოყენებით, დაიწყო გელათის სამონასტრო კომპლექსის არქეოლოგიური და გეოლოგიური ფენების შესწავლა. დღეისათვის, უკვე შესრულებულია ამ სამუშაოების პირველი ეტაპი, - შეიქმნა გელათის სამონასტრო კომპლექსის ზუსტი ტოპო-გეგმა.

9. ზემოხსენებული რეკომენდაციების აღსრულებისთვის, გელათის რეაბილიტაციის კომიტეტში შეიქმნა ბიურო, რომელიც სარეაბილიტაციო - საკონსერვაციო სამუშაოებისას უზრუნველყოფს დოკუმენტაციის საფუძვლიან და დეტალურ წარმოებას და ასევე, საკონსერვაციო ჯგუფებს შორის თანმიმდევრული და შეთანხმებული მოქმედებისთვის შესაბამის კოორდინაციას გაწევს.

10. შეიქმნა გელათის რეაბილიტაციის კომიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი, სადაც, საზოგადოების მაღალი ინტერესის გათვალისწინებით, განთავსდა და პერმანენტულ რეჟიმში განახლდება გელათის რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია. ასევე, ამავე ვებგვერდზე ხელმისაწვდომი იქნება ყველა სახის დოკუმენტი, 2008 წლის სარეაბილიტაციო სამუშაოებიდან მოყოლებული დღემდე (მათ შორის მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის

ანგარიშები, საკონსერვაციო პროექტები, სარეაბილიტაციო სამუშაოების გეგმები, საექსპერტო დასკვნები, შესრულებულ სამუშაოთა ანგარიშები და ა.შ...).

გელათის რეაბილიტაციის დროებითი კომიტეტი სამუშაოების განხორციელების ყველა ეტაპზე, სრულად იქნება გახსნილი საზოგადოებასთან. ამასთან, მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის სახელმძღვანელო პრინციპების 172-ე პარაგრაფის შესაბამისად, ყოველგვარი საკონსერვაციო სამუშაოები, მათ დაწყებამდე, საკონსერვაციო საპროექტო დოკუმენტაციების სახით, სათანადო შეფასებებისათვის წარდგენილი იქნება მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრში, ხოლო თითოეული სამუშაოს განხორციელებისთანავე მიწოდებული იქნება ანგარიშები კონკრეტული გადადგმული ნაბიჯებისა და ძეგლის ფიზიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის განხორციელებული აქტივობების თაობაზე.